რას მოგვცემს მეტალურგთა დანაზოგი

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი მხურვალედ გამოეხმაურა მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოთა თათონობას, აჩაღებს ლაშქრობას ყველგან და ყველაფერში მომჭირნეობისათვის.

ქარხნის დირექტორმა, ახალგაზრდა ინჟინერმა ზ. ჩხეიძემ განაცხადა: — ზესტაფონელმა მეტალურგებმა ავწონდავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და წელს სულ მცირე დავზოგავთ: 9.500 ტონა მარგანეცის მადანს, 1.500 ტონა კვარციტებს. 500 ტონა კოქსს და ამდენივე კირს. ეს დანაზოგი ფულად 180.000 მანეთი იქნება. ამას ჩვენ მივაღწევთ, — განაგრძო ამხ. ჩხეიძემ, — ახალი ტექნიკის ათვისება-დანერგვით, სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენებით, დნობის ტექნოლოგიის გაუმჯობესებით, მოცდენების შემცირებით, რაციონალიზატორთა შემოკმედებითი აზრის ფართო გაქანებით, შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვით.

ბუნებრივად დაისმება კითხვა — რას მოგვცემს ამ ნედლეულის დაზოგვა?

ასეთი მომჭირნეობით ქარხანა წლიური გეგმის გადამეტებით მიიღებს ათასობით ტონა ნახშირბადიან ფერომარგანეცს, ასეთივე რაოდენობით საშუალო ნახშირბადიან ფერომარგანეცს და ძვირფას ელექტროლითურ მარგანეცს. ყველაფერი ეს კი ასობით ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია იქნება.

ერთი საყურადღებო ფაქტიც: ზესტაფონელი მეტალურგები წელს დაზოგავენ 2 მილიონ კილოვატ-საათ ელექტროენერგიას, რაც ერთ წელს ეყოფა ქ. ზესტაფონის მოსახლეობას. საინტერესოა ისიც, რომ ელექტროენერგიის ამ დანაზოგით შეიძლება ასობით ტონა ლითონის გამოდნობა.

ასეთია ზესტაფონელ მეტალურგთა ვალდებულებები. ისინი პრაქტიკულად შეუდგნენ საქმეს. ზრდიან ლითონის გამოდნობას, მუშაობენ მომჭირნეობით.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲣᲠᲯᲘᲡ XXIII ᲙᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲡᲐᲡᲕᲔᲦᲠᲐᲓ

მეხალიჩეთა სიტყვა

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ ხალიჩების საქსოვი კომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფით წელს დაზოგოს 1.700 კილოგრამი ნართი და დაზოგილი მასალიდან გამოუშვას 1.000 კვადრატული მეტრი ხალიჩის ნაწარმი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲤᲝᲗᲘ. ელექტრომანქანური გამაძლიერებელ ქარხანაში შარშან 8 ტონა ლითონი დაზოგეს.

წელს კი გადაწყვიტეს დაზოგონ 2,5 ტონა ფოლადი, 7,8 ტონა ფუჯი, 1,5 ტონა ალიუმინი და 168 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. რისთვისაც სხვადასხვა სიმძლავრის საკისრის ჯიანძების დანდგარების და გამომყვან ყუთების კონსტრუქციებში შეიტანენ მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც საშუალებას მისცემს წარმოებას შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

კ. კომახიძე.

ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲙᲘᲠᲝᲒᲐ

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. (საკ. კორ.). ქვანახშირის მადაროელებმა გადაწყვიტეს შახტებში ხე-ტყის სამაგრი მასალის განმეორებითი გამოყენებით დაზოგონ 120 ტონა ლითონი, 220 კუბმეტრი ხე-ტყის სამაგრი მასალა და ათასობით კილოვატსაათი ელექტროენერგია.

დანაზოგი მასალებით დამატებით ამოიღებენ 1000 ტონაზე მეტ ქვანახშირს.

აქტ-დიატომიტის სამთოელებმა იკისრეს სკკპ XXIII ყრილობის დღისათვის გასწიონ 2ა კუბმეტრი ხე-ტყის სამაგრი მასალის და 14 ათასი კილოვატსაათით ელექტროენერგიის ეკონომია, ხოლო მთელი წლის მანძილზე დაზოგავენ 100 კუბმეტრი ხე-ტყის სამაგრი მასალას, 20 ტონა ფეოქუბად ნავთიერებას, 20 ტონა საცხებ მასალებს და 40 ათას კილოვატსაათ ელექტროენერგიას.

ამ დანაზოგი მასალებიდან სამთოელები გეგმის გადამეტებით ამოიღებენ 900 ტონა დიატომიტს.

რაციონალიზატორთა წვლილი

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში ათასზე მეტი რაციონალიზატორია. გასულ წელს მათ მიერ შეტანილი 1.772 წინადადებიდან უმრავლესობა წარმოებაში დაინერგა, რითაც ქარხანამ 442.800 ნაწეთი დაზოგა. ეს თითქმის 100.000 მანეთით აღემატება ეკონომიური ეფექტია ნავარაუდევ თანხას.

ქარხნის რაციონალიზატორებმა დიდი წვლილი შეიტანეს უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, ენერგორესურსების ეკონომიურად ხარჯვის საქმეში. ავტომანქანის, კაბინების შედუღებისათვის ნახევრადავტომატური ხელსაწყოს შექმნით ამ ოპერაციაზე მინიმუმამდე შემცირეს წუნი და წლიურად 7.162 მანეთი დაზოგეს. ცხელი წყლის საბოილერო დანადგარების ერთიან, ცენტრალიზებულ სისტემად გაერთიანებით აღმოიფხვრა ორთქლისა და წყლის დანაკარგები, რითაც ქარხანამ 13.816 მანეთი ეკონომია მიიღო.

ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 46-Ე ᲬᲚᲘᲡ № 25 (13419) | ᲙᲕᲘᲠᲐ, 30 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1966 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲗᲔᲗᲠᲬᲐᲠᲛᲝᲔᲚᲗᲐ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ

მაიაკოვსკელთა წარმატება

— ᲩᲕᲔᲜᲘ პარტიის XXIII ყრილობისათვის მზადების დღეებში დაძაბულად შრომობენ მაიაკოვსკის რაიონის მეცხოველეები, — აცხობს რედაქციას პარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველმა მდივანმა კ. აბესაძემ, რაიასაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ჯოგლიძემ და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა კ. ყვირიკაშვილმა. მაიაკოვსკელებმა თეთრწყაროელთა ინიციატივის პასუხად გაჩაღებულ შეჯიბრებაში ახალი წარმატება მოიპოვეს.

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა რაიონმა 27 იანვრისათვის 126 პროცენტით შეასრულა. ამავე დროსათვის სახოგადოებრივ მეურნეობებში პრიუტყვეს სულადობის ზრდის დაკვალება შესრულებულია 108 პროცენტით. წარმატებით მიმდინარეობს პრიუტყვის გამოზამთრება, საგაზაფხულო თესვისათვის მზადება.

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 46-Ე ᲬᲚᲘᲡ № 25 (13419) | ᲙᲕᲘᲠᲐ, 30 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 1966 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲨᲔᲕᲐᲛᲝᲬᲛᲝᲗ ᲛᲔᲡᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲖᲐᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲡᲡᲠ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტმა გადაწყვიტა ᲬᲚᲘᲡ თებერვალ-აპრილში მოაწყოს კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა საერთო კრებები, ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲗᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ. ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲔᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲒᲛᲘᲠᲘ ᲓᲔᲓᲘᲡ“ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲛᲘᲣᲒᲜᲘᲗᲝᲗ „გმირი დედის“ სპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. მახარაძეს შადია მახმურადის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ხულოს რაიონის სოფელი წაბლანა.

2. მაჩიაძეს თამარ ჭიჭოკის ასულს — მუშას, ორჯონიკიძის რაიონის სოფელი ერეთი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ᲑᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ.

1966 წლის 29 იანვარი.

ᲑᲐᲭᲝᲔᲚ ᲒᲔᲒᲛᲐᲨᲕᲘᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲛᲐᲠᲙᲘᲗ

ᲐᲡᲢᲠᲐᲮᲐᲜᲨᲘ გაგიდა ახალი სამგზავრო თბომავალი „ᲮᲣᲓᲐᲢᲘ“. იგი აშენეს ვანო სტურუას სახელობის გემთსარემონტო ქარხანაში და გათვალისწინებულია ასტრახან-გურიევის ნავსადგურებს შორის რეგულარული მიმოსვლისათვის.

„ᲮᲣᲓᲐᲢᲘ“ ერთბანიანი გემია, რომელიც აღჭურვილია უახლესი რადიოლოკაციური აპარატურით.

თბომავლის 35 კომფორტული კაიუტა მიპირკეთებულია პლასტიკური მასებითა და ᲙᲐᲕᲘᲗᲮᲔᲚᲘᲗ. გემზე არის რესტორანი, დასასვენებელი სალონი, საპარიკმახერო, ფოსტის განყოფილება, კიოსკები, საშხაპეები და ა. შ. ყველა საცხოვრებელი ნაგებობა აღჭურვილია ჰაერის მაკონდიცირებელი სისტემით.

„ᲮᲣᲓᲐᲢᲘ“ მესამე სამგზავრო თბომავალია, რომელიც ვანო სტურუას სახელობის ქარხანამ ააშენა. მისი ორი წინამორბედი „ᲧᲐᲠᲐ-ᲑᲝᲚᲐᲮᲒᲝᲚᲘ“ და „ᲡᲣᲚᲐᲙᲘ“ კასპიის ჩრდილოეთში დაცურავენ. უნდა აღინიშნოს, რომ ისინი შარშან ზაფხულში კარგად მოემსახურნენ ტურისტებს ასტრახან-იალტის ხაზზე. როგორც აზდესის კორესპონდენტს აცნობეს კასპიის ნაოსნობის სააგენტოში წელს ვანო სტურუას სახელობის ქარხანაში დაიწყება რამდენიმე ახალი გემის შენებლობა. ნაწილი — სამგზავრო გემი და რამდენიმე თვითმავალი მბეჟუნველი — საექსპლოატაციოდ გადაეცემა წლის ბოლომდე. (აზდესი).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 28 იანვარი. (საკდესი). დღეს მოსკოვის ეკრანებზე გამოვიდა დოკუმენტური ფილმი „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ“. ფილმში გაშუქებულია მწერლის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი შემოქმედებითი გზა. 1935 წელს როლანი იყო ჩვენს ქვეყანაში და დიდი სიმპათიით გაიხსენა საბჭოთა ხალხისადმი. ფილმში შესულია კადრები, რომლებზეც აღბეჭდილია მწერლის ჩამოსვლა მოსკოვის ვაგზალზე, რომენ როლანი ფიზულტურელთა პირველ პარადზე, ა. მ. გორკისთან საუბრის დროს.

ფილმი გამოუშვა დოკუმენტური ფილმების ცენტრალურმა სტუდიამ.



ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲘᲐ

ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲯᲘᲐ კრემლის ყრილობათა სახახლის სხდომათა დარბაზზე. რამდენიმე წლის წინათ, როცა იგი ჯერ კიდევ შენდებოდა, რიგის ელექტროტექნიკური ქარხანა „ᲕᲔᲤᲝᲡᲘ“ კონსტრუქტორებმა და მუშებმა იკისრეს შეექმნათ პატარა აპარატები ორატორთა სიტყვების თარგმანების მოხასმენად რამდენიმე ენაზე. აპარატს ამონენტის პულტი ერქვა. მას შეეძლო „შეეთავაზებინა“ დელეგატისათვის პულტის ხუფზე მიმაგრებულ სპეციალურ ცხრილში აღნიშნული 15 ენიდან ამოერჩია რომელიც უნდოდა.

ამჟამად ქარხნის მუშაკებმა ამონენტის ახალი პულტის კონსტრუქცია შეიმუშავეს. ამ პულტში შესრულებულია გამოყენებულია საბჭოთა რადიოტექნიკისა და ტელეფონიის უახლესი მიღწევები. თვით პულტი — პატარა მოგრძო კოლოფი — სავარძლის სახელურში ჩაიდგმება. მას აქვს ყურსაცავები და 15-პოზიციანი გადამრთველი. თვითეული მათგანი წარმოადგენს არხს, რომელიც ამ ენაზე გარკვეულ ენაზე მთარგმნელთან.

ამასთანავე მთარგმნელთა კაბინა თხუთმეტი კი არა, ოცდარვაა. დარბაზის სხვადასხვა სექტორში მუდმივად გადაიცემა ორი პროგრამა 28 ენაზე. ამრიგად, დარბაზის წინასწარ განსაზღვრულ სექტორებში შეიძლება მოთავსდეს დელეგაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ან მოკავშირე რესპუბლიკებიდან და ერთდროულად მიღებულ იქნას სიტყვების თარგმანი ორივე პროგრამის ნებისმიერ ენაზე.

ამონენტთა პულტების გადამცემ აპარატაზე მუშაობდნენ მთავარი კონსტრუქტორები, ინჟინრები ᲒᲣᲕᲘᲛ ᲤᲣᲠᲛᲐᲜᲘ, ვალენტინ ᲕᲘᲜᲝ�გრადოვი, ანატოლი მარიცევი და სხვები. ამ წლის დამდეგს ქარხნის ტელეფონის აპარატების საამქროს სამონტაჟო უბანი მოსკოვში გაგზავნის ამონენტის 7 ათას ახალ პულტს კრემლის სხდომათა სახახლისათვის.

ქარხნის მუშაკები მალე დაამზადებენ გაუმჯობესებული სქემის პულტებს კრემლის დიდი სასახლისათვისაც. ნავარაუდევია, რომ რიგელები მონაწილეობას მიიღებენ მსგავსი თანამედროვე გადამთველი აპარატების დამზადებაში ახალი მაღლივი სასტუმრო „როსიისათვის“, რომელიც ზარიადიეში შენდება.

ᲘᲒᲘ ᲣᲛᲦᲚᲔᲠᲝᲓᲐ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 26 იანვარი. (საკდესის კორ.). დღეს, რომენ როლანის დაბადების 100 წლისთავის წინ ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში გაიმართა დიდი ფრანგი მწერლისადმი მიძღვნილი საღამო. აქ შეიკრიბნენ მოსკოველი ლიტერატორები, მოკავშირე რესპუბლიკათა წარმომადგენლები, სახლვარგარეთელი სტუმრები.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გ. მარკოვმა. დიდი ფრანგი ხელოვანისა და ჰუმანისტის რომენ როლანის სახელს, თქვა მან, მაღლობით და მადლიერებით წარმოთქვამს მთელი პროგრესული კაცობრიობა. დიდი სიყვარულისა და ღრმა პატივისცემის გრძნობას იწვევს ეს სახელი საბჭოთა ადამიანებში.

რომენ როლანი ჩვენი ხალხის მეგობარი, მისი სოციალური რეგოლუციის გულწრფელი ქომაგი, რევოლუციის ძალებისა და კაცობრიობის ნეხაადმდეგ ბრძოლაში მისი სამართლიანი საქმის მგზნებარე დამცველი იყო. სიცოცხლის საუკარულიერ გამსჭვალული როლანის შემოქმედება ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით პოპულარული გახდა ფართო მასებში. ᲠᲝᲛᲔᲚᲐᲜᲘᲡ წიგნები ჩვენში გამოცემულია საბჭოთა ხალხების ბევრ ენაზე.

დიდი მწერალი, ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ მამაცი მებრძოლის ნაწარმოებები დღესაც ერთგულად ემსახურებიან ჰუმანიზმს, მშვიდობას, პროგრესს, კაცობრიობას.

საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს კრიტიკოსმა და ლიტერატურათმცოდნემ ვ. ᲑᲠᲘᲪᲛᲐ (ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ), ლ. ᲜᲘᲙᲣᲚᲘᲜᲐ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ), ლიტერატურულმა კრიტიკოსმა ბ. დელჩევმა (ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲔᲗᲘ), Ე. ᲞᲝᲚᲢᲝᲠᲐᲪᲙᲘᲡᲐ (ᲢᲐᲠᲐᲜᲢᲝ), ვ. ᲛᲐᲯᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡᲐ (საქართველო).

ᲮᲝ ᲨᲘ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

Ნ. Ვ. ᲞᲝᲓᲒᲝᲠᲜᲘᲡ

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა წერილი გამოუგზავნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. ვ. პოდგორნის ვიეტნამში ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიულ მოქმედებასთან დაკავშირებით.

11 და მეტი წლის მანძილზე, ნაკლებია წერილში, ამერიკელი იმპერიალისტები საბოტაჟს უწევდნენ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებს და ხელს უშლიდნენ ვიეტნამის მშვიდობიან გაერთიანებას იმის იმედით, რომ სამხრეთ ვიეტნამს გადაიქცევდნენ ახალი ტიპის კოლონიად და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზად. ახლა ისინი აფარმოებენ აგრესიულ ომს სამხრეთ ვიეტნამში, რათა ბარბაროსულად ჩაახშონ ჩვენ თანამემამულეთა პატრიოტული ბრძოლა.

ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ თავი დაადწიონ მდგომარეობას, რომელიც სამხრეთ ვიეტნამში აღმოჩნდნენ, აღნიშნულია წერილში, და იმასაც კი აღარ ერიდებიან, რომ მასობრივი მასშტაბით დაიწყეს ამერიკის საექსპედიციო კორპუსის გაძლიერება და გზავნიან იქ სატელიტ ქვეყნების ჯარებს პირდაპირი აგრესიის განსახორციელებლად. გარდა ამისა, ისინი აწარმოებენ საპაერო თავდასხმებს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოზე, რომელიც სოციალისტურ ბანაკს ეკუთვნის.

ამერიკელი იმპერიალისტები აძლიერებენ და აფართოებენ აგრესიულ ომს ვიეტნამში და ამავე დროს საჯაროდ აცხადებენ, რომ ესწრაფვიან „მშვიდობას“ და „მზად არიან დაიწყონ მოლაპარაკება რაიმე პირობის წამოუყენებლად“. ამ განცხადებათა მიზანია მოატყუონ მსოფლიო საზოგადოებრიობა და ამერიკელი ხალხი. ამას წინათ ჯონსონის მთავრობამ დაიწყო კამპანია „მშვიდობის ძიების“ სახელწოდებით და წამოაყენა წინადადება, რომელიც შეიცავს 14 პუნქტს. ამ წინადადების არსი ასეთია: შეერთებული შტატები ცდილობენ ფეხი მოიკიდონ სამხრეთ ვიეტნამში, შეინარჩუნონ იქ მათ მიერ შექმნილი მარიონეტული ადმინისტრაცია და საშუალოდ გათიშონ ვიეტნამი.

ამერიკის შეერთებული შტატები ამტკიცებენ, რომ ასრულებენ ჟენევის შეთანხმებებს. მაგრამ ამ შეთანხმებათა ერთ-ერთ ძირითად მუხლში წერია, რომ აკრძალულია უცხოელთა ჯარების შეყვანა ვიეტნამში. თუ ამერიკის შეერთებული შტატები მართლაც ასრულებენ ამ შეთანხმებებს, მაშინ სამხრეთ ვიეტნამიდან უნდა გაიყვანონ მთელი თავიანთი ჯარები და თავიანთ სატელიტების ჯარები.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ლაპარაკობს თავის ახალ „მშვიდობიან მეცადინეობაზე“ და ამავე დროს სასწრაფოდ ზრდის თავის სამხედრო პრჩენიალს სამხრეთ ვიეტნამში. იგი აფართოებს გაჩხრეკის ოპერაციებს და „გადაბუგული მიწის“ პოლიტიკას, წვავს, ანგრევს და სპობს ყველაფერს, რაც გზად შეხვდება: იყენებს ნაპალმს, შხამიან გაზებსა და მომწამლველ ქიმიურ ნივთიერებებს სოფლებისა და სამოქალაქო მოსახლეობის მოსასპობად საშინელი ვიეტნამის ეროვნული რაიონებში.

ცხადია, რომ „მშვიდობის ძიების“ ამერიკული კამპანიის მიზანი მხოლოდ ის არის, რომ შეინიღბოს მზადება აგრესიული ომის გაძლიერებისათვის. ვიეტნამელი ხალხი, რომელიც 20 წელზე მეტი ხანია განიცდის ომის უბედურებას, ყველაზე უფრო ესწრაფვის მშვიდობას. მაგრამ ნამდვილი მშვიდობა და ნამდვილი დამოუკიდებლობა განუყოფელია. სანამ ჩვენს მიწა-წყალზე იქნება ამერიკის აგრესიული ძალები, ჩვენი ხალხი მტკიცედ იბრძოლებს მათ წინააღმდეგ. თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მართლაც სურს მშვიდობიანი მოწესრიგება, მან უნდა ცნოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 4 პუნქტი და კონკრეტული საქმით დაადასტუროს ეს. მან საბოლოოდ და რაიმე პირობის წამოუყენებლად უნდა შეწყვიტოს დაბომბვა და ყველა სხვა საომარი აქტი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. მხოლოდ ამგვარად იქნება შესაძლებელი ვიეტნამის საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტა.

ვიეტნამელი ხალხისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით პრეზიდენტმა ხო ში მინმა დიდი მადლობა გადაუხადა მომმე საბჭოთა კავშირის ხალხსა და მთავრობას, რომლებიც მხარს უჭერენ და ეხმარებიან ვიეტნამელ ხალხს ამერიკელ იმპერიალისტ-აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში, სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად.

წერილის დასასრულს პრეზიდენტი ხო ში მინი წერს:

„ახლანდელ უაღრესად სერიოზულ ვითარებაში, რაც გამოწვეა ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებამ ვიეტნამში, მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ მომმე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხი და მთავრობა გააძლიერებენ ჩვენი ხალხის სამართლიანი ბრძოლისადმი მხარდაჭერასა და დახმარებას, გადაჭრით დაგმობენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის თვალთმაქცურ „მშვიდობიან“ მანევრებს და დროზე აღკვეთენ შეერთებული შტატების ყველა ახალ ვერაგულ განზრახვას ვიეტნამსა და ინდოჩინეთში“. (საკდესი).

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 29 იანვარი. (საკდესი). 14-17 იანვარს აქ მიმდინარეობდა შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის კონფერენცია, იუწყება გაზეთი „უორკერი“. კონფერენციაზე მოხსენება პარტიის პრობლემებისა და ამოცანების შესახებ წაიკითხა შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ერთ-ერთმა წამყვანმა მოღვაწემ გეს ჰოლმა. თავის მოხსენებაში ჰოლმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ბრძოლას იმისათვის, რომ „შეწყდეს შეერთებული შტატების დანაშაულებრივი იმპერიალისტური აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ“.

ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲪᲚᲔᲠᲘ ᲔᲠᲗᲐᲠᲓᲘ — ᲛᲣᲨᲐᲡ: — ᲨᲝᲛᲔᲠᲘᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲩᲘᲜᲝ...

ᲜᲐᲮᲐᲢᲘ „ᲜᲝᲠᲘᲔᲡ ᲓᲝᲠᲘᲩᲚᲐᲜᲓᲘᲓᲐᲜ“ (ᲒᲓᲠ).

ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 28 იანვარი. (საკდესი). სენატის საომარი მზადყოფნის საკითხთა ქვეკომისიის თავმჯდომარემ სტენისმა გუშინ ამერიკის მთავრობას მოუწოდა განახორციელოს შეუზღუდავი საომარი მოქმედება ვიეტნამში და აწონასწორმეტყველა, რომ ემისათვის საჭირო იქნება 600 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი.

ამ ომში გამარჯვება ჩემის აზრით უპირველესი მნიშვნელობის ამოცანაა, და ეს ამოცანა უპირველესი მნიშვნელობისა უნდა იყოს ვაშინგტონისთვისაც, განაცხადა ომის მოტრფიალე სამხრეთელმა სენატორმა.

სტენისმა წინადადება წამოაყენა დაიწყოს ჩრდილოეთ ვიეტნამის ელექტროსადგურების, ნავსადგურების, ნავთობსაცავებისა და სხვა ობიექტებისა და მომარაგების ცენტრების შეუზღუდავი დაბომბვა.

ᲛᲔ

ვალდებული ცხოვრება

მაღალი მომთხოვნელობით და პასუხისმგებლობით

თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის საწარმოთა კოლექტივები, წინასაყრილობო შრომითს ვახტზე რომ დგანან, გარკვეული წარმატებებით წარდგნენ პარტიული კონფერენციის წინაშე. საწარმოებმა გასული წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 105,3 პროცენტით შეასრულეს და ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 137 მილიონ 568 ათასი მანეთის პროდუქციისა გამოუშვეს 144 მილიონ 960 ათასი მანეთის პროდუქცია.

საწარმოო გეგმების გადაჭარბებით და ხარისხიანად შესრულებაში დაწინაურდა მაუდ-კამოლის კომბინატი „სიბჭოთა საქართველო", ქარხანა „ელექტროძრავი", საკონდიტრო კომბინატი, ჰიდრომეტხელსაწყოების და პურის № 5 ქარხნები.

წარმოების ცნობილი ნოვატორების ა. ჩიქოვანის, ვ. სობოლევას, ლ. ლუჩენკოს, ლ. ჯანანაშვილის, ხ. ეფიმოვის, გ. სახელაშვილის, ა. ქოჩლაძის და სხვათა გვერდით ახლა გაჩნდა მოწინავეთა ახალი პლეადა. მათ შორის აღსანიშნავია თბილგვირაბმშენის გვირაბგამყვანი გ. ობოლაძე, მემონტაჟე ზეინკალი ბრიგადირი ა. დათაშვილი, ზეინკალი ტ. ხმალაძე, მაუდ-კამოლის კომბინატის კოშუნისტური შრომის დამკვრელები ვერა ნუცუბიძე, მარია პალკანოვა, ეთერ ვარამაშვილი, ვერა ქემაშვილი და სხვები. საწარმოებში თავდადებულად შრომობს 203 კომუნისტური შრომის და 123 ამ სიპატიო სახელისათვის მებრძოლი ბრიგადა, ხოლო კომუნისტური შრომის დამკვრელთა და ამ სახელისათვის მებრძოლთა საერთო რაოდენობამ ოთხი ათასამდე მიაღწია.

მომხსენებელმა — პარტიის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. გრიგალაშვილმა და მოკამათეებმა თავიანთ გამოსვლებში ყურადღება გაამახვილეს საწარმოთა კოლექტივების აქტიური ბრძოლაზე კომუნისტური მშენებლობის საბრძოლო პროგრამის განხორციელებისათვის, იმსჯელეს მასებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სრულყოფის საკითხებზე, შეეხნენ გადაუჭრელ პრობლემებსა და საწარმოების მუშაობაში არსებულ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს.

კონფერენციაზე კმაყოფილებით აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმების შემდეგ განვლილ პერიოდში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობისათვის. ამაღლდა პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, გაძლიერდა მისი ორგანიზაციული როლი. ახლა პარტიული ორგანიზაციები მეტ ინტერესს იჩენენ ეკონომიკის საკითხებისადმი, უფრო დრმად სწავლებიან წარმოებას, ავლენენ ზრდის რეზერვებს.

საკონდიტრო კომბინატის, ლუდის № 3 ქარხნის, კავშირგაბმულობის სარემონტო-სამონტაჟო სახელოსნოს და სხვა საწარმოთა კოლექტივები დაუღალავად იბრძვიან წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, მეცნიერების მიღწევათა ფართოდ დანერგვისათვის. გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები წარმოების ახლებურად მართვის სრულყოფისათვის, რამაც კეთილნაყოფიერი გავლენა იქონია საწარმოთა ეკონომიურ მაჩვენებლებზე.

ამასთანავე აღინიშნა, რომ მთელ რიგ საწარმოთა კოლექტივებმა ვერ უზრუნველყვეს გასული წლის გეგმების შესრულება. ჩამორჩენილთა შორის დასახელებულ იქნა ლითონკონსტრუქციების ქარხანა, ტრესტ „საქმშენინდუსტრიის" ხიდამშენავები კომბინატი № 1, „თბილმრეწვმშენის" № 3 ტრესტის დამხმარე საწარმოთა კომბინატი, „თბილგვირაბმშენის" რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანა, ავეჯის ექსპერიმენტალური ფაბრიკა და სტამბა № 11. ეს ჩავარდნები, ძირითადად, ამ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელობის და პარტიული პარტიული ორგანიზაციების მოუქნელი და უყაირათო მუშაობით იხსნება.

რაიონის საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის დასახელება 690-ს აღემატება. მრავალი საწარმო მხურვალედ გამოეხმაურა თბილისის ლენინის რაიონის სამრეწველო საწარმოთა ინიციატივას პროდუქციის ხარისხის და წარმოების კულტურის საზოგადოებრივი დათვალიერების შესახებ. უურადღების ცენტრშია მოსკოველთა და ლენინგრადელთა ინიციატივა, რომლებიც იმისათვის იბრძვიან, რომ 3-4 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი პროდუქციი მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტებს გაუთანაბრონ. მაგრამ, როგორც მომხსენებელმა და მოკამათეებმა აღნიშნეს, საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არასაკმაოდ სწვდებიან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს, არ იქმნება შეურიგებლობის ატმოსფერო წუნდებული საქონლის გამომშვების მიმართ. სწორედ ამიტომ არის, რომ მთელი რიგი საწარმოები დიდ ჯარიმებს იხდიან მომხმარებლისათვის წუნდებული საქონლის მიწოდების გამო.

მაუდ-კამოლის კომბინატის დირექტორმა მ. ბებუშვილმა, თამბაქოს „თბილმრეწვმშენის" № 3 ტრესტის დამხმარე საწარმოთა კომბინატი, „თბილგვირაბმშენის" რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანა, ავეჯის ექსპერიმენტალური ფაბრიკა და სტამბა № 11. ეს ჩავარდნები, ძირითადად, ამ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელობის და პარტიული პარტიული ორგანიზაციების მოუქნელი და უყაირათო მუშაობით იხსნება.

რაიონის საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის დასახელება 690-ს აღემატება. მრავალი საწარმო მხურვალედ გამოეხმაურა თბილისის ლენინის რაიონის სამრეწველო საწარმოთა ინიციატივას პროდუქციის ხარისხის და წარმოების კულტურის საზოგადოებრივი დათვალიერების შესახებ. უურადღების ცენტრშია მოსკოველთა და ლენინგრადელთა ინიციატივა, რომლებიც იმისათვის იბრძვიან, რომ 3-4 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი პროდუქციი მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტებს გაუთანაბრონ. მაგრამ, როგორც მომხსენებელმა და მოკამათეებმა აღნიშნეს, საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არასაკმაოდ სწვდებიან პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს, არ იქმნება შეურიგებლობის ატმოსფერო წუნდებული საქონლის გამომშვების მიმართ. სწორედ ამიტომ არის, რომ მთელი რიგი საწარმოები დიდ ჯარიმებს იხდიან მომხმარებლისათვის წუნდებული საქონლის მიწოდების გამო.

მაუდ-კამოლის კომბინატის დირექტორმა მ. ბებუშვილმა, თამბაქოს „თბილმრეწვმშენის" № 3 ტრესტის დამხმარე საწარმოთა კომბინატი, „თბილგვირაბმშენის" რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანა, ავეჯის ექსპერიმენტალური ფაბრიკა და სტამბა № 11. ეს ჩავარდნები, ძირითადად, ამ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელობის და პარტიული ორგანიზაციების მოუქნელი და უყაირათო მუშაობით იხსნება.

ბოლოს ამ ადგილებში გავლა არ შეიძლებოდა, ასლა კი სრულდაყრილი ჩვეულებრივი გზა მიდიოდა, ცოტა მომორგებით გზას განიერი არხი მიყვებოდა, არხს ყოველ ორას მეტრზე წყლის საწრეტი კვლები უერთდებოდა. არხზე სიდი გაედოთ. ცოტაც, და ზემოაკეთელებიც გამორნდნენ. მიტუშამ ცხენი შეაყენა, და მოხუცს მიმართა:

— ხომ გითხარი, აი ჩვენებიც აქ არიან.

ეს ძველი და სხვა ახალი!

ნარკვევი

ზემოაკეთელებს ხის მახალა მოეზიდათ და ფერმის მშენებლობას შესდგომოდნენ.

მიხაკო ღლონტმა არაფერი თქვა, ერთი გაიარ-გამოიარა, ახლად დაყენებულ ბოძთან შეჩერდა, მხარით მიაწვა, ძვრა ვერ უყო, ახლა მეორეც მოსინჯა. მიტუშა ლაღიმემ გაიცინა:

— ეგ ბოძი, ბიძია მიხაკო, ისეა დამაგრებული, რიონიც კი ვერაფერს დააკლებს.

მიხაკომ თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია, შემოგარენს ერთხელ კიდევ შემოავლო თვალი და ზემოაკეთელებს გასძახა:

— ეს ძველი და სხვა ახალი!

ერთხანს ჩუმად იყო და იქაურობას ათვალიერებდა. შემდეგ ვედარ მოითმინა და ჩაილაპარაკა:

— ვინც ამ ჭაობებს აშრობს, ბმათ მარჯვენას ვეაცვალე!

ამ დროს შორიახლო ხიდთან ვილისი გაჩერდა. მანქანიდან ორნი ჩამოვიდნენ, მაღალყელიანი ჩექმები ეცვათ. შორს უკვე გუგუნებდნენ ტრაქტორები, ბულდოზერები, კოლხიდშენთა სამუშაო დღე იწყებოდა.

ვოსულთაგან ერთი კოლხიდშენის ლანჩხუთის სამშენებლო-სამონტაჟო უბნის უფროსი გივი ხაჭაპურიძე იყო, მეორე — მთავარი ინჟინერი შალვა ნურწუმია. მიხაკოს შორიდან იცნობდნენ, გაუკვირდათ, აქ რამ მოიყვანა. მისი მოსვლის მიზეზი რომ გაიგეს, ავტომობილანაში ჩასვეს და თან წაიყვანეს. იქ მივიდნენ, სადაც ბულდოზერების, ექსკავატორების, ამწეების, ტრაქტორების ლაშქარი აშორებულ ჭაობს უტევდა. ჯერ ტაკეს გაჩეხდნენ, შემდეგ ამფეთქებლები ზათქითა და გრიალით ჩაივლიდნენ, ტრაქტორები ხეებს ძირფესვიანად ძირკვავდნენ. ამის შემდეგ ექსკავატორები არხების გაჭრას დაიწყებდნენ. არხიდან ამოყრილ მიწას ბულდოზერები გაშლიდნენ, გაასწორებდნენ.

გაკვირვებული შესცქეროდა ძია მიხაკო მათს საქმიანობას.

კოლხიდშენის ლანჩხუთის უბნის უფროსი გივი ხაჭაპურიძე საშუალო ტანის კაცი ყოფილა. კოლოთი მიხვდა მიხაკო, აქაური არ იყო. ქუთაისიდან ჩამოსულიყო, 1962 წლიდან ამ უბნის უფროსად მუშაობდა. ყველაზე მეტად ის გაუკვირდა მიხაკოს, როდესაც უთხრეს. ჩვენი უფროსი შვიდი შვილის მამააო. არ დაიჯერა, ჩაიცინა თავისებურად, ასეთ ახალგაზრდას და ისიც ქალაქელს შვიდი შვილი როგორ ეყოლებაო, მაგრამ როცა გივი ხაჭაპურიძემ შვილების ერთიმეორეზე გადაბმული პატარა ფოტოსურათები ამოიღო და კინოლენტივით გაშალა, მიხაკომ თავის თავს გულში უსაყვედურა, ჩვენს ქვეყანაში არაფერი არ უნდა გაგიკვირდესო, თან თავისებურად შესძახა:

— ეს ძველი და სხვა ახალი!

იწრიალა, იწრიალა ცნობისმოყვარე მოხუცმა, სანამ გივი ხაჭაპურიძის ცხოვრების შესახებ ყველაფერი დაწერილებთან არ გაიგო. თავად გივი რას ეტყოდა, მორიდებული კაცი ჩანდა, მთავარი ინჟინერი დაიმარტობილა მიხაკომ, არ მოეშვა, ცოლ-შვილი დაფიცა და სმენად გადაიქცა.

მთავარმა ინჟინერმა ისე დაწვრილებით იცოდა თავისი უფროსის ბიოგრაფია, თითქოს მისი ძმაო. ჩანდა, კოლხიდშენელებს მხოლოდ სასსახური არ აკავშირებდათ ერთმანეთთან. მათი მეგობრობა იმ დუღაბივით იყო, არხის გასამაგრებლად რომ ხმარობენ ხოლმე.

გივი ხაჭაპურიძეს ძმიმე ცხოვრება გამოეკლო. სამი წლისას დედა მოკვდომოდა, ექვსისას — მამა. თვრამეტი წლის ყმაწვილი თავის მშობლიურ სოფელში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აერჩიათ. ომის ძმიმე წლები იყო. ფეხზე წამოეყენებია გივის ჩამორჩენილი კოლმეურნეობა. ქალებს, მოხუცებს და ბავშვებს ისე უმუშავნიათ, სახელი გაუთქვამთ. ყმაწვილი თავმჯდომარეც დღედაღამ კოლმეურნეებთან ტრიალებდა, მთიანეთელებთან მთიანეთელი იყო, მთიულეთელთან მთიულელი, მთიბაგვეთან მთიბავი. შემდეგ ისწავლა, სხვადასხვა პასუხსაგებ თანამშრომლობებზე მუშაობდა. ბოლოს აქ დასხიეს და მეოთხე წელია ამ უბანს სერმძღვანელობს. გივი რომ აქ მოვიდა, მშენებლებს კანტორაც არ ჰქონდათ თურმე. ახლა კანტორის ორსართულიანი შენობა ხომ უნახავს მიხაკოს. ცენტრიდან სადგურისაკენ რომ წასულა, ლამაზი შენობა რომ არის, ის ააგეს წინამ ვეემეგრეულა ტერიტორიაზე რიტმულად ვერ მუშაობდნენ, ხშირად ერთი ობიექტი არ ჰქონდათ დამთავრებული, მეორეზე გადადიოდნენ. ახლა ასე როდია. ახლა კოლმეურნეობებს მთლიანად მოშზადებული მიწები გადაეცემათ ხოლმე. მაშინვე იწყება თესვა, ჩაისა თუ ციტრუსეულის გაშენება.

გივი ხაჭაპურიძეს კაბინეტში არ უყვარს ჯდომა. ადრიანად საქმეებს რომ გაანაწილებს, ისიც მშენებლებს თან მისდევს. მას ხან ჭაობიანურას მიწებთან ნახავთ, ხან დედაბერა — ნიგზიანის ჭაობებთან ტრიალებს, იქიდან წავა და მეკრძალა-კაპროვანის მიდამოებში გაჩნდება, ქვიანსაც შემოიარა. დღე რომ მიიწურება, თავის კაბინეტს დაუბრუნდება. საღამოთი ბრიგადირებს შეკრებს, დღეკანდელ ნამუშევარს გამოთანგარიშებენ, ხვალინდელს გაარკვევენ.

ახლა გივი ხაჭაპურიძე მონახა მიხაკომ, არც ის მოასვენა. ყველაფერი აინტერესებდა. არც გივიმ დაიზარა მასთან საუბარი:

— შეხედე, რა ბიჭვია, — დაიწყო გივიმ, — სხვაგვარად არც შეიძლება, აქ ყველა კი ვერ იმუშავებს. ასე რომ არ იყოს, 6.000 ჰექტარზე მეტ ჭაობს რა ამოაშრობდა, აქედან ასათვისებლად მზად არის 4.500 ჰექტარი და თუ საბჭოთა მეურნეობაც ჩამოაყალიბეს, მაშინ ჩვენი რაიონი უფრო გაშლის ფრთებს. სულ მალე ამ მიწებზე ჩაის პლანტაციები დაირგვება, ამრიელდება ციტრუსებისა და ხეხილის ბაღები. ახლა მომავალს არ იტყვი? სულ ოცი ათასი ჰექტარია დასაშრობი, მაშინ კი ჩვენი რაიონი გურიაში ყველაზე ღონიერი რაიონი იქნება. მაგრამ ჩვენ მარტო ამოშრობის სამუშაოს კი არ ვაწარმოებთ. ამოშრობილსაც უნდა მოგლა-პატრონობა, გლეხიკაცი ხარ და იცი, ხეხილს თავისი წესი აქვს, მიწა რაც ხაკლებ ნესტიანია, ხეხილი მით უფრო ღრმად იღგამს ფესვებს. ასეთი ფესვიანი ხეხილი ღონიერია და ამტანი. მაგრამ თუ მას წყალი ჩაუდგა, ფესვებს ღრმად ვეღარ გაუშვებს, სუსტდება, და ქარმა რომ დაუბეროს, მაშინვე წაიქცევა. მით უფრო. ჭვიმას ჩვენში რა გამოლევს. ამ საქმესაც ჩვენ ვაკეთებთ...

მიხაკო ღლონტი იმ ღამეს ნაძინარ დარჩენებულა, რადგან უფროსებიც იქ დარჩნენ კარავში. ზამთარია, მაგრამ არ ციოდა. გაიხსენა მიხაკომ თავისი მწარე ახალგაზრდობა. ახლა მას უსმენდნენ გულისყურით. ბოლოს თავისი გულისტკივილიც გაამეღვნა: ნეტავ მეც ახალგაზრდა ვიყო და თქვენთან ერთად ამ ჭაობებს ვებრძოდეო.

ის ღამე მოხუცმა თითქმის თეთრად გაათენა. როგორც კი ცისკრამა ინათა, გარეთ გამოვიდა. კოლხეთის მზის ამოსვლას პირველი შეეგება. ტრაქტორების, ბულდოზერების, ექსკავატორების ლაშქარი რომ დაიძრა, მიხაკო წელში გაიმართა, გივი ხაჭაპურიძეს მიუახლოვდა და ხმადაბალი უთხრა:

— როგორა, ბიძიკო, ამიხსენი, სულ რამდენი ჰექტარია დასაშრობი?

— ოცი ათას ჰექტარამდე იქნება, ბიძია მიხაკო.

— მერე და როდის მოათავებთ ამ საქმეს?

— 1970 წლისათვის უნდა დამთავრდეს ყველაფერი.

— ახლა რომელი წელია? — განგგმ იკითხა მიხაკომ.

— 1966 წელი! — ძიუგო გივიმ.

— რავა, ამდენი მეცხოვრია და ოთხ წელს ვეღარ გავძლებ... — სინანულით წარმოთქვა მოხუცმა. — ამდენ ამბავს მოვესწარი და გენა კოლხეთის ამოშრობას ვერ ვნახავ...

— იცოცხლე, ბიძია მიხაკო, — ღიმილით მიუგო გივიმ, — შენ იცოცხლე და ჩვენ ნატვრას ერთი წლით ადრე აგიხდენთ. ასე გვჩვევია ლანჩხუთელებს, აქამდე სულ გადაჭარბებით ვასრულებთ გეგმებს და ახლა რა გაგვიჭირდება ისეთი. პირობას გაძლევთ, ბიძია მიხაკო, 1969 წლისათვის ლანჩხუთის რაიონში ჭაობი არ იქნება...

გივი ხაჭაპურიძის პასუხზე მიხაკოს გაეღიმა, ულვაშებზე ხელი გადაისვა, მაგრამ ორაზროვნად არ ნაუცინია, ერთი ცას გახედა. კოლხეთის მზე ზამთარშიაც უხვად აფრქვევდა სხივებს სალამქროდ გასულ კოლხიდშენის არწივებს და ხმამაღლა შესძახა:

— ეს ძველი და სხვა ახალი!...

ვახტანგ გოგრაველი.
გივი გოგიჩაიშვილი.

ლანჩხუთის რაიონი.

მესამე ადგილზე საგზოთა კავშირში

თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის კოლექტივის გამარჯვება

საკავშირო ორგანიზაციებთან უშუალო ურთიერთობამ, მათთან ხელშეკრულების გაფორმებამ, ოთოცა გამოიცდილა ისეთი ქსოვილის გამოშვება, რომელსაც მომხმარებელი არა ჰყავს, კარგი შედეგი გამოიღო თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის საქმიანობამ.

მუშაობაში ამ სიახლის დანერგვით კომბინატის კოლექტივმა შარშან მე-4 კვარტალში წარმატებით გაანადგა ჩვენი ქვეყნის შალის, მრეწველობის მსხვილ საწარმოთა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება, კომბინატის სართავმა წარმოებამ შარშან მე-4 კვარტალში გეგმის გადაჭარბებით 9 ტონა ნართი გამოუშვა. ნამუშევარის გამოშვებამ დავალება განადღებულ იქნა 43 ათასი მეტრის გადამეტებით, მზა ქსოვილი გამოშვებული იყო 25 ათასი მეტრით მეტი, ვიდრე ამას გეგმა ითვალისწინებდა. შარშან მე-4 კვარტალში წინა პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით მატყლის გამოსავლიანობა 10,5 ტონით გაიზარდა. ეს საამაყოა კომბინატის კოლექტივისათვის. ამავე დროს პროდუქციის ხარისხი გეგმასთან შედარებით 4,15 პროცენტით ამაღლდა. ზეგეგმიერმა დაგროვებამ 18 ათას მანეთს მიაღწია. დაზოგილ იქნა 9 ტონაზე მეტი ნართი. ამის შედეგად კომბინატის ხელმძღვანელობამ შეძლო მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის პრემიის სახით მიეცა 102.639 მანეთი. საგულისხმოა ისიც, რომ 199 მქსოველიდან მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას იძლევა 137 მქსოველი.

ამ დღეებში მოსკოვის ოლქის ქ. ლოსინო-პეტროვსკის მონინოს კამოლტრ კომბინატში, სადაც შეიკრიბნენ ჩვენი ქვეყნის შალის მრეწველობის მსხვილ საწარმოთა წარმომადგენლები, შეაჯამეს გასული წლის მე-4 კვარტალის შედეგები. ზემოაღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატმა სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა.

კომბინატის შრომისმოყვარე კოლექტივი მიღწეულს არ სჯერდება. იბრძვის იმისათვის, რომ წელს უფრო მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიოს. წინასაყრილობო შრომითვახტზე დადგა და წარმატებით ასრულებს სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრ ვალდებულებას, რომელიც მოსკოველთა და ლენინგრადელთა ინიციატივას ეფუძნება.

ჩვენ ვიბრძოლეთ

რესპუბლიკის საწარმოებში ფართოდ არის გაშლილი სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. წარმოების მუშაკები ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებენ დიდა-სამშობლოს. დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის ბრძოლაში დაწინაურდა თბილისის სპორტული ნაწარმის ფაბრიკის მკერავი კომკავშირელი მზაღო მეკრავიშვილი, რომელიც მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქციას უშვებს და ყოველდღიურ საწარმოო გეგმას 180 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: მზაღო მეკრავიშვილი.

ფოტო ა. ჭელიძისა.

დეკუტატი და ცხოვრება

გვახსოვდეს, წერილს უკან აღამიანია!

რაიონულ საბჭოს აღმასკომსა და მის განყოფილებებზე, აგრეთვე რაიონის საწარმო-დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ყოველდღიურად მოქალაქეთა ათობით განცხადება, წერილი და საჩივარი შემოდის. ისინი გულისხმიერ დამოკიდებულებას, დროულ და საბოლოოდ რეგირებას მოითხოვენ. ეს კი მასებზეა ჩვენი კავშირის ერთ-ერთი ეტაპური საშუალებაა, რადგან ყოველი წერილის, საჩივრის თუ განცხადების უკან ცოცხალი ადამიანია, რომელიც ჩვენგან პასუხს მოელის.

რაისაბჭოს აღმასკომში შარშან შემოვიდა 2131 წერილი, განცხადება და საჩივარი. განცხადება-საჩივრების დიდი უმრავლესობა ეხება მოსახლეობისა საყოფაცხოვრებო მომსახურების, საბჭოთა ბაზრის, ბინათმშენებლობის, სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სხვა საკითხებს, რომელთა მართებულად გადაწყვეტას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. აი რამდენიმე ფაქტი:

წლების მანძილზე იწერებოდა ქალაქ-ბინის მშრომელების თხოვნა ბავშვთა საბავშვოებისა და ბაღების გაფართოების შესახებ. ბინის სიეიწროვის გამო საავადმყოფო ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. ბოლოს, რაისაბჭოს აღმასკომმა ადგილობრივი მეურეტის ნამატთ დაიწყო ბავშვთა ტიპური საავადმყოფოს შენობის აგება. ახლა იგი დამთავრების პროცესშია და მალე გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

ჩვენი ქალაქი ფართოვდება, მისი მოსახლეობა ინტენსიურად იზრდება, ხოლო სახალხო განათლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ტალღი უცვლელი რჩებოდა, რის შესახებაც არაერთი წერილი შემოდიოდა აღმასკომში. შემოდენილები მოითხოვდნენ ქალაქის გაფართოებას, ჩვენ საკითხი ადეკვატურ ზემდგომი ორგანოების წინაშე. ბევრფერი ეთ ზოგიერთი გაუმჯობესებას. კერძოდ, რაიონული ბიბლიოთეკა გადავიტანეთ უფრო ფართო. და „ეთილმოწყობილ ბინაში, გავხსენით სამეურნეო ანგარიშზე მუსიკალური ჯგუფი, რითაც დაკმაყოფილდა სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშვთა მშობლების ინდივიდუალური თხოვნა, მოკავარდა ქალაქის მოსახლეობის წყლით მომარაგება. მშენებლობის გეგმაში შეტანილ იქნა საბავშვო ბაღის, ავრეთვე 600-ადგილიანი კულტურის სახლის მშენებლობა.

რაიონული საბჭოს აღმასკომი სისტემატურ კონტროლს უწევს მშრომელთა წერილებისა და საჩივრების მართებულად და დროულად გადაწყვეტას, ადგილებზე მოსვლითაც აწესრიგებს მშრომელთა საჩივრებს, საკითხი გადოაქვს აღმასკომის სხდომაზე, სახალხო განცხადება-საჩივრებში აღძრულ საკითხებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს და ამოწმებს მიღებულ დადგენილებათა შესრულებას.

გასული წლის 3 მარტს რაისაბჭოს აღმასკომის სხდომამ განიხილა აღმასკომთა და მის განყოფილებებში მშრომელთა განცხადება-საჩივრებზე რეგირების მდგომარეობა, ხოლო 17 ნოემბერს მოეწყო ამ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიდინარეობის განხილვა. საკითხს მომზადებაში მონაწილეობდნენ დეპუტატები და რაიონის პროკურატურის მუშაკები.

გამოირკვა, რომ აღმასკომის, საფინანსო, სოციუზრუნველყოფისა და კულტურის განყოფილებების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად გაუმჯობესდა შემოსულ განცხადება-საჩივრებზე დროულად რეგირება.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არის მშრომელთა განცხადება-საჩივრებზე პასუხის გაცემის გაჭიანურების შემთხვევა. ზოგჯერ პასუხს აჭიანურებენ ინფორმაციის მოსაგროვებლად. ეს ეხება ზოგიერთ ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს. ასეთი ფფენომენი ხერხი და ინერციაა. ეს ეხება ზოგიერთ ადგილობრივ ორგანოებსაც

საერთაშორისო ცხოვრება

ფინეთის კომპარტიის XIV ყრილობა

ჰელსინკი, 29 იანვარი. (საკადესი). აქ კულტურის სახლში დღეს გაიხსნა ფინეთის კომუნისტური პარტიის მორიგი XIV ყრილობა. დელეგატებმა უნდა განიხილონ პარტიული ცხოვრებისა და ფინეთის კომპარტიის პოლიტიკის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები და უწინარეს ყოვლისა უახლოესი პერიოდის ეკონომიურ და სოციალურ გარდაქმნათა პროგრამის პროექტი.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს 807 დელეგატი და უცხოელი სტუმარი — საზღვარგარეთის მოძმე პარტიების წარმომადგენლები, მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი ვ. ვ. გრიშინი.

ნერილი სუფანუო

„კომუნისტის“ კორესპონდენტები, მკითხველები გვატყობინებენ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

საბაგირო გზით „ცხრა ჯვარზე“

ტყიბული. (საკ. კორ.). მეშახტეთა ქალაქში დაიწყო საჰაერო-საბაგირო გზის მშენებლობა, რომელიც ქალაქს დაუკავშირებს ნაქერალის ქედის უმაღლეს მწვერვალთან — „ცხრა ჯვართან“. აქ, ზღვის დონიდან 1.600 მეტრ სიმაღლეზე შენდება მეშახტეთა პროფილაქტორიუმი. საჰაერო-საბაგირო გზა, რომლის სიგრძე 3,5 კილომეტრი იქნება, ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის ამ საუკეთესო კერის გამოყენებას.

საჰაერო-საბაგირო გზას აშენებს ტყიბულშახტმშენის სამმართველო. რუსთაველის ქუჩაზე გაცხარებული მუშაობაა — აგებენ ბაგირის დამჭიმავ საყრდენს და მგზავრთა ჩასასხდომ სადგურს. სულ მალე ნაქერალის ქედზე დაიწყება მეორე ასეთივე ნაგებობის მშენებლობა.

ახალი საჰაერო-საბაგირო გზის ამუშავება გათვალისწინებულია მეშახტის დღესათვის. მოკლე დროში ნაქერალის ქედი მეშახტეთა ქალაქის ერთ-ერთ შესანიშნავ დასასვენებელ ადგილად გადაიქცევა.

◆

ახალი საფოსტო

რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების დროულად მიწოდების მიზნით საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ დაარსა ახალი საფოსტო ტრანტი: თბილისი-ხარაგაული-ზესტაფონი-თერჯოლა.

ამ გზაზე თბილისიდან ყოველდღე დადის ახალი საფოსტო დიზელი და ზემოაღნიშნულ რაიონებში მიაქვს იმავე დღის რესპუბლიკური გაზეთები. თერჯოლელი მგზავრებები ახლა დღის პირველ საათზე კითხულობენ ახალ გაზეთებს.

ვ. კუტალაძე.

მკითხველის კალმით

ხობი. რაიონულ კლუბებში მოეწყო პედაგოგიური კითხვა. ქართული ენისა და ლიტერატურის სექციამ განიხილა საინტერესო მოხსენებები: „შრომისადმი სიყვარულის აღზრდა ლიტერატურის გაკვეთილებზე“, „სკოლაში შოთა რუსთაველის იუბილეს მოწყობისათვის“, „ლიტერატურული ექსკურსიების ჩატარების პრაქტიკიდან“. ნაყოფიერად იმუშავეს აგრეთვე რუსული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკა-მათემატიკის, ბიოლოგიისა და სხვა საგნების მეთოდურმა სექტორებმა. საუკეთესო მოხსენებები შეირჩა რესპუბლიკური პედაგოგიური კითხვისათვის.

ო. სახეიშვილი.

მაიაკოვსკი. „კეთილი მაცნე“ — ასე ეძახიან რაიონის მაღალმთიან სოფელ ხანის მშრომელები თავიანთ თანასოფელს ლავროსი გიორგიძეს. ის ოც წელზე მეტია უმწიკვლოდ ასრულებს სოფლის ფოსტალიონის მოვალეობას.

ლავროსი ყოველი ოჯახის სასურველი სტუმარი, წიგნის, ჟურნალ-გაზეთების აქტიური პროპაგანდისტია. მისი მომსახურების ზონაში თითქმის ყველა ოჯახს აქვს გამოწერილი სამეოთხო დასახელების ჟურნალი და გაზეთი.

შ. ლომიძე.

□ **ფულუკიძე.** „არა მარტო გავზარდოთ, არამედ აღვზარდოთ“ — ამ დევიზით მოეწყო ფულუკიძის მასწავლებლებისა და მოსწავლეთა მშობლების რაიონული შეკრება. მოხსენებებით გამოვიდნენ რაისამეცნიერო აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე გ. თედორაძე და პედაგოგი გ. ბახტაძე. დიდ სკა-ბაასში, რომელიც ბავშვთა აღზრდის საქმეში სკოლისა და ოჯახის როლს მიეძღვნა, მონაწილეობა მიიღეს კომკავშირის რაიკომის, პროკურატურისა და მილიციის მუშაკებმა, მასწავლებლებმა და მოსწავლეთა მშობლებმა.

შ. ჯინჯიხაძე.

ბაკურიანში თოვლია

ორიოდე დღის წინ ფოტოკორესპონდენტი შ. კუკულავა ბაკურიანში იყო და ფირზე აღბეჭდა მისი დათოვლილი ფერდობები.

კარგი წამოწყება

ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საქართველოს სამეცნიერო საზოგადოება, მთელ რიგ სხვა ამოცანებთან ერთად, მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს თეორიისა და პრაქტიკის სხვადასხვა უბანზე მომუშავე საზოგადოების წევრთა ურთიერთთანამშრომლობას.

ამას წინათ საზოგადოების პრეზიდიუმმა გადაწყვიტა მოესმინა გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაობის ანგარიში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში საზოგადოების საჯარო სხდომაზე შეიკრიბნენ თბილისის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა თანამშრომლები, მასწავლებლები, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მუზეუმების წარმომადგენლები. სხდომაზე გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაობაზე მოხსენებით გამოვიდა მუზეუმის დირექტორი გ. ელიავა. მან დაწვრილებით ილაპარაკა მუზეუმის დაარსებიდან დღემდე გაწეულ სამუზეუმო-საექსპოზიციო და სამეცნიერო-კვლევითის საქმიანობაზე და აღნიშნა მუზეუმის მუშაობაში დანერგილი მთელი რიგი სიახლენი.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ჩიტაიამ, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ბარდაველიძემ, პროფესორებმა ა. აფაქიძემ, დ. გვრიტიშვილმა, ვ. დონდუამ, ა. იოსელიანმა, დოცენტებმა დ. უჩანეიშვილმა, შ. ხანთაძემ, გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ა. ნადიმაშვილმა.

ამავე სხდომაზე თურქეთში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე საინტერესო მოხსენებით გამოვიდა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ო. გიგინეიშვილი.

ლ. ფულარიანი.

◆

სკოლას—გმირის სახელი

რუსთავი. (საკ. კორ.). ლეონტიევსკის 3. სიხნოს საგმირო საქმეები ოქროს ასოებით არის ჩაწერილი დიდ სამამულო ომის ისტორიაში. იგი დაეცა ბერლინში, უკანასკნელ ხელჩართულ ბრძოლაში.

მას შემდეგ ორმა ათეულმა წელმა განვლო.

გარდაბნის რაიონის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა, როცა ისინი დიდი სამამულო ომის ისტორიას გაეცნენ და ამ ომის გმირების ვინაობა შეიტყეს, გადაწყვიტეს თავიანთ სკოლას სამამულო ომის გმირის 3. სიხნოს სახელი უწოდონ.

გმირის სახელის უკვდავყოფის ეს გადაწყვეტილება მოიწონეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში. ამიერიდან გარდაბნის რაიონის პირველი საშუალო სკოლა გმირის სამეამოო სახელს ატარებს.

შემთხვევა

ავტომანქანა გადაარჩინეს

თბილისიდან დიდძალი კაბელითა და აკუმულატორებით დატვირთული კავშირგაბმულობის თბილისის სპეცსამშენებლო სამმართველოს ავტომანქანა, რომელსაც მართავდა მძღოლი ნოდარ სიდამონიძე, მახარაძეში მიდიოდა. ქუთაისამდე ორიოდე კილომეტრი იყო დარჩენილი, როცა სოფელ გოდოგნის მთის ფერდობიდან მძღოლს მოესმა ყვირილი: ცეცხლი, ცეცხლი!... მძღოლმა მანქანა დაუყოვნებლივ დაამუხრუჭა. ქუთაისის სატყეო მეურნეობის მუშები, რომლებიც მთაზე ხეებს რგავდნენ, სწრაფად გადმოურნენ ცეცხლმოდებული მანქანის გადასარჩენად. ბრძოლა ხანძართან სულ 10 წუთს გაგრძელდა.

ავტომანქანისა და სახელმწიფო ქონების ცეცხლისაგან გადარჩენის საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი სატყეო მეურნეობის მუშებმა მ. ფორჩხიძემ, ა. და ლ. ბრეგაძეებმა, ვ. რობაქიძემ, ვ. მამრიკიშვილმა, ე. მზარეულაშვილმა, ი. ფირცხალაშვილმა, ფ. სულმანიძემ და თვით ავტომანქანის მძღოლმა ნ. სიდამონიძემ. (საქდესი).

ჩემპიონატის სტარტი

ბუშინ ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთმა ჩემპიონატმა აიღო სტარტი, დაიწყო სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ფრენბურთში.

პირველობას ერთმანეთს ეცილება ქალთა 12 ამდენივე ჯგუფა გუნდი. გიმორეთება წინასწარი და დასკვნითი შეხვედრები. ქალთა გუნდებისათვის წინასწარი შეხვედრები მიმდინარეობს პეტროზავოდსკსა და ირკუტსკში, ვაჟთა გუნდებისათვის — ივანოვოსა და ზაპოროჟიეში.

შეჯიბრება ტარდება ახალი წესით, რომელსაც საფუძველი გასულ წელს ჩაეყარა.

◆

ე. ვასიუკოვი — მეორე ადგილზე

რეიკიავიკში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო საშაშრაკო ტურნირი. პირველობისათვის ბრძოლა ძირითადად საბჭოთა და ისლანდიელ გროსმაისტერებს ე. ვასიუკოვსა და ფ. ოლაფსონს შორის მიმდინარეობდა.

ფინიშთან წარმატება ფ. ოლაფსონს ხვდა, რომელმაც 11-დან 9 ქულა შეაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. ე. ვასიუკოვი გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა და მეორე ადგილზე გამოვიდა.

◆

ნ. მაურინდავეილის 5 ქულა

ბევერვიიკში გრძელდება საშაშრაკო ტურნირი. ნ. ბაშრინდაშვილმა პოლანდიელ რეესთან ყაიმით დაამთავრა პარტია და 9 ტურის შემდეგ 5 ქულა აქვს.

ეს სურათი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა შ. ჩხეტიანმა გუშინ გადაიღო თბილისში. სურათზე: თბილისის 65-ე საშუალო სკოლის მოსწავლე მაყვალა ხელაძე.

ბრაზილიის ნაკრების კანდიდატები

ბრაზილიის ნაკრების საბოლოო შემადგენლობა უნდა გამოცხადდეს მას შემდეგ, რაც გაიმართება „მაქსიმალური ტურნირი“ რიო-დე-ჟანეიროსა და სანპაულოს გუნდების მონაწილეობით.

ბრაზილიელ მომამზადებელთა აზრით, დღეისათვის ნაკრების კანდიდატებად უნდა ჩაითვალონ შემდეგი-მოთამაშეები: **მეკარეები:** ჟილმარი, მანგა, ედსონი და ფაბიო; **მარჯვენა მცველები:** ჯარლოს ალბერტო, ჯალმა სანტოსი, მურილიო და ფიდელისი; **ცენტრალური მცველები:** ბრიტო, ლეონიდასი, ალტაირი, ჯალმა დიასი, პროკოპიო, ორლანდო, ბელინი და მაურო; **მარცხენა მცველები:** რილდო, პაულო, ჰენრიკე, ჟერალდინიო და ედილსონი; **ნახევარმცველები:** დუდუ, ლიმა და დიასი; **მარჯვენა გარემარბები:** ჟაირზინიო, პაულო ბორჯესი და გარინჩა; **ცენტრალური თავდამსხმელები:** პელე, ჟუტინიო, ფლავიო, ადემარი, ადემარ და გუია, ნაირი, სერვილიო და სილვა; **მარცხენა გარემარბები:** პარანა, ირანდო, ალეი და როდრიგესი.

გარდა ამისა, ყველა მომამზადებელი მოითხოვს, რომ ნაკრებში მიიწვიონ იტალიაში მოთამაშე „ვარსკვლავები“ — ამარილდო და ჟაირი, მაგრამ მათ გასათავისუფლებლად იტალიის კლუბები მოითხოვენ უზარმაზარ თანხას — ნახევარ მილიონ დოლარს.

◆

ასტრონომიული ანგარიშით

არმიის ცენტრალური წყალბურთელობის კლუბის წყალბურთელთა გუნდმა დაამარცხა ესპანეთის „ბარსელონას“ გუნდი ანგარიშით 10:0 (3:0, 2:0, 3:0 და 2:0). ეს გამარჯვება მოსკოველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს გენუაში, სადაც ლიდო დ'ალბაროს აუზში დაწყო ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალური ასპარეზობა. საბჭოთა გუნდში თავი გამოიჩინა ალექსანდრე დოლგუშინმა, რომელმაც სამი ბურთი გაიტანა. გენუაშიეე თასის ახლანდელმა მფლობელმა ადგილობრივმა გუნდმა „პროროკომ“ იმედი გაუცრუა თავის თანამემამულეებს, ფრედ დაამთავრა შეხვედრა უნგრეთის „ფერენცვაროშთან“. ამ მატჩის ანგარიშია 2:2.

პირველი ნახევარფინალური მატჩების შეხვედრები ბაგრებში ასეთია: „პარტიზანი“ (ბელგრადი)-„დინამო“ (ბუქარესტი)—3:1, „დინამო“ (მაგდებურგი)-„დუსბურგი“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) — 10:2.

კვლავ დები პრესები

საბჭოთა მძლეოსნების ტურნე ახალზელანდიაში წარმატებით გრძელდება.

მორიგ მატჩში კვლავ ჩინებულად გამოვიდა მოსოფლიოს რეკორდსმენი თ. პრესი. მან ბადრო ტყორცნა 55 მეტრსა და 92 სანტიმეტრზე, რაც საყურადღებოა ახალზელანდიის სტადიონებზე გამართულ ასპარეზობათა შედეგებზე. თ. პრესმა პირველი ადგილი დაიკავა აგრეთვე ბრთვის კვრაში — 16 მეტრი და 99 სანტიმეტრი.

შეჯიბრებაზე თავი ისახელა აგრეთვე ი. პრესმა. იგი პირველი იყო 80 მეტრზე თარეხრბენში. დრო — 10,9 წამი. მანვე მეორე ადგილი დაიკავა ბრთვის კვრაში — 14 მეტრი და 78 სანტიმეტრი.

◆

ამჯერად წარმატება

გუშინ გაიმართა კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტურის მატჩები. ტალინში თბილისის დინამოელებმა, რომლებმაც სტარტზე წააგეს რიგის ვეფოთან 46:82, მიმდევარ მატჩში გაიმარჯვეს რიგის სკასთან 75:72 (34:35).

რიგის ვეფ-მა დაამარცხა კაუნასის „ჟალგირისი“ 77:63, კიევის სკა-მ — ლენინგრადის „სპარტაკი“ 67:64.

◆

დასკვნითი ეტაპი

გუშინ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის დახურულ შენობებში დაიწყო მძლეოსანთა იანგარის ასპარეზობის მეოთხე, დასკვნითი ეტაპი.

როგორც წინა, ისე მოსკოვის შეხვედრებზე გამოდიან 6 ქვეყნის წარმომადგენლები. 60 მეტრზე რბენაში ქალთა შორის წარმატება ხვდა ვ. პოპკოვას (ჩელიაბინსკი, 7,5 წამი), ვაჟთა შორის — ბაქოელ ვ. კოსტაკინს (6,6 წამი). სამმეგ ხტომაში უძლიერესი იყო კრასნოდარელი ვ. ემიმენკო — 16 მეტრი და 9 სანტიმეტრი.

კოლუმბი თუ ვიკინგები?

უკვე არაერთხელ გამხდარა საკამათო იმ აღმოჩენის პრიორიტეტი, რომელიც დიდმა ზღვაოსანმა კოლუმბმა 1492 წლის 12 ოქტომბერს მოახდინა. 1965 წლის დამლევს მსოფლიომ თითქოს მიიღო იმის დადასტურება, რომ გენუელს წინამორბედები ჰყავდა. საქმე ეხება ძველ გეოგრაფიულ რუკას, რომელიც შვიცარიაში იქნა აღმოჩენილი და ნიუ-ჰეიველნის (აშშ) იელის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოაქვეყნეს, — ამერიკის კონტინენტის პირველ და ერთადერთ რუკას, რომელიც კოლუმბამდელ ეპოქას ეკუთვნის. სენსაციური აღმოჩენის მკვლევარები — იელის უნივერსიტეტის კარტოგრაფიული კაბინეტის მცველი ალექსანდრე ორ ვაიიტორი და იმავე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შუა საუკუნეების და აღორძინების განყოფილების გამგე თომას მარსტონი ამტკიცებენ: რუკა შედგენილია ბაზელში 52 წლით ადრე მანამდე, სანამ ქრისტოფორე კოლუმბი ამერიკას დაინახავდა; რუკა ადასტურებს, რომ ამერიკა პირველმა აღმოაჩინეს ვიკინგებმა ბიარნიმ და ლეიფმა, ერიკ მწვიფარის შვილებმა.

მაგრამ უდავოდ ნამდვილია თუ არა ბაზელის რუკა? ამ კითხვით, რომელიც განსაკუთრებულ იქნა სსრ კავშირის გეოგრაფიულ ხაზოგადოებაში, ახალი ამბების საააგენტოს კორესპონდენტმა მიმართა დისკუსიის მონაწილეებს — ლენინგრადელ გეოგრაფებსა და ისტორიკოსებს.

რუკა 565 წლისაა? არა! — რა უნდა ჩაითვალოს ამერიკის აღმოჩენად? — ამბობს ლენინგრადის უნივერსიტეტის დოცენტი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი ვლადიმერ ნევსკი. — მისი პირველადმოჩენები არსებითად იყვნენ აზიის პირველყოფილი ტომები. ოცი ათასამდე წლის წინათ ისინი ბერინგის სრუტით ამერიკის კონტინენტზე მივიდნენ. ეს შეიძლება აღმოჩენა ყოფილიყო, მის შესახებ კაცობრიობას რომ შეეტყო.

ამ პოზიციებიდან უნდა განვიხილავდეთ ამერიკაში შუა საუკუნეთა ნორმანების ჩასვლასაც. ისინი იქ კოლუმბამდე დიდი ხნით ადრე რომ მისულან, ამას მოწმობს სკანდინავიური საგებიც და არქეოლოგიური გათხრებიც ნიუფაუნდლენდის პროვინციაში. მაგრამ ნორმანების მოგზაურობას არ გამოუწვევია ის ცვლილებანი ევროპის ქვეყნების ეკონომიკასა, კულტურასა და მეცნიერებაში, რაც კოლუმბის მოგზაურობას მოჰყვა. ნორმანებს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ უზარმაზარ კონტინენტზე დასახლდნენ.

სწორედ ამის გამბათილებას ემსახურება ბაზელის რუკა. ალექსანდრე ორ ვაიიტორი და თომას მარსტონი რვა წელიწადს სწავლობდნენ ამ გასაოცარ ნაპოვნს. მაგრამ მათ ბიერ გამოქვეყნებული რუკა ნდობას ვერ გვიცხადებენ. ძალიან ბევრი რამ მოწმობს იმას, რომ საქმე გვაქვს მორიგ, თუმცა ძალიან მარჯვე ნაყალბევთან.

რუკის აღმოსავლეთი ნაწილი, მაგალითად, აშკარად გადმოღებულია ძველი არაბული რუკებიდან. X-XII საუკუნეების არაბი კარტოგრაფები აღმოსავლეთ აფრიკას შორს აღმოსავლეთისაკენ წაგრძელებდნენ ხოლმე და ინდოეთის ოკეანეს წყლის გრძელ არხად აქცევდნენ. ამასვე ვხედავთ ბაზელის რუკაზე. არაბ კარტოგრაფებს მიდრეკილება ჰქონდათ მოეხდინათ მდინარეთა ბიფურკაცია (გაორება). მათ რუკებზე, მაგალითად, ნიგერი თეთრი ნილოსიდან გამოდის. იმასვე ვხედავთ ბაზელის რუკაზეც. არაბებს გაუგონიათ, რომ არსებობდა გზა „ვარიაგების ქვეყნიდან საბერძნეთში“, მაგრამ იგი წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც მთლიანი სრუტე, რომელიც ბალტიის ზღვას შავ ზღვასთან აერთებდა. ნორმანებს, რომლებსაც უვლიათ ამ გზით, არ შეეძლოთ გაეგერებინათ ეს შეცდომა. მაგრამ ბაზელის რუკაზე ბალტიის ზღვიდან შავ ზღვაში მიმავალი გზა გამოსახულია როგორც წყლის მთლიანი მაგისტრალი.

ამიტომ ძნელი დასაჯერებელია, რომ შვეიცარიის წიგნის მაღაზიაში აღმოჩენილი რუკა 565 წლისაა!

ნაპოვნი ეჭვს იწვევს — დასავლეთში, — ამბობს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ავტორი მთელი რიგი ნაშრომებისა ამერიკის აღმოჩენის შესახებ მოხე კოგანი, — ნაყალბევთა მთელი ინდუსტრია არსებობს. იქ უდიდესი რაოდენობით ქმნიან ყალბ „ძველებურ“ მონეტებს, საფოსტო ბეჭედს, სხვადასხვა დოკუმენტებს — ერთი სტატე